

საპრედიტო პრობების კვლევა

II კვარტალი, 2022



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საკრედიტო პირობების კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

საქართველოს ეროვნული ბანკი 2013 წლიდან ატარებს საკრედიტო პირობების კვლევას. გამოკითხვა ონლაინ პლატფორმის საშუალებით ტარდება, ხოლო რესპოდენტებს საბანკო სექტორის მაღალი რგოლის მენეჯერები წარმოადგენენ. კვლევის მიზანს რესპოდენტებისაგან დაკრედიტების მიმდინარე და სამომავლო ტენდენციებზე ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. კერძოდ, კვლევა მოიცავს კითხვებს ფიზიკური და იურიდიული პირების სესხებზე მოთხოვნისა და დაკრედიტების საპროცენტო და არასაპროცენტო პირობების ცვლილებაზე, ასევე კითხვებს ამ ცვლილების გამომწვევი ფაქტორების შესახებ.

კითხვარი შედგება მხოლოდ ხარისხობრივი შეკითხვებისაგან და არ მოითხოვს რესპოდენტთა მხრიდან რაოდენობრივ შეფასებას. ინფორმაციის რაოდენობრივ ერთეულებში გარდაქმნისათვის გამოყენებულია საბალანსო სტატისტიკის მეთოდოლოგია. ინდექსი მერყეობს -100-დან 100-მდე. 100 აღნიშნავს, რომ გამოკითხულთა 100% აღიქვამს ტენდენციის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ინდექსი -100 აღნიშნავს, რომ რესპოდენტთა 100% მნიშვნელოვან გაუარესებას აღიქვამს. 0 აღნიშნავს, რომ ტენდენცია არ შეცვლილა გასულ კვარტალთან შედარებით. ინდექსის დათვლისას რესპოდენტთა პასუხებს თანაბარი წონა აქვთ მინიჭებული, განურჩევლად ბანკის ზომისა.

გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ყოველ კვარტალურად ქვეყნდება ანგარიში. გარდა კვლევის საბოლოო შედეგებისა, აღნიშნული ანგარიში მოიცავს ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას დაკრედიტების ტენდენციების შესახებ.

ამ ანგარიშში წარმოდგენილი მოლოდინები ასახავს მხოლოდ საკრედიტო პირობების კვლევის რესპოდენტთა შეფასებას დაკრედიტების მომავალ ტენდენციაზე და არა ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა მოლოდინებს.

საკრედიტო პირობების კვლევა

მოკლე შეჯამება.....	4
ბიზნესის დაკრედიტების პირობები და ტენდენციები.....	5
ფიზიკური პირების დაკრედიტების პირობები და ტენდენციები.....	9

დაგრამა 1. ბიზნეს სესხების მოთხოვნისა და საკრედიტო პირობების ცვლილება.....	5
დაგრამა 2. ბიზნეს სესხების საკრედიტო პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები.....	6
დაგრამა 3. საპროცენტო განაკვეთები და ნარჩენი ვადანობა ბიზნეს სესხებზე	7
დაგრამა 4. ბიზნეს სესხებში უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი.....	8
დაგრამა 5. ფიზიკური პირების სესხებზე მოთხოვნისა და საკრედიტო პირობების ცვლილება	9
დაგრამა 6. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების დაკრედიტების პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები.....	10
დაგრამა 7. სესხის მომსახურეობის (PTI) და უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტების განაწილება.....	10
დაგრამა 8. ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხების საპროცენტო განაკვეთები და ნარჩენი ვადანობა....	11
დაგრამა 9. უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში	12

მოკლე შეჯამება


საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, 2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, მოთხოვნა ბიზნეს სესხებზე, როგორც საბრუნავი, ისე ძირითადი საშუალებების დაფინანსების მიზნობრივობით, მცირედით გაიზარდა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში ბიზნეს სესხებზე მოთხოვნის მცირედით ზრდას მოელონ. ამავე კვლევის მიხედვით, მეორე კვარტალში დაკრედიტების საპროცენტო და არასაპროცენტო პირობები ბიზნეს სესხებისთვის მცირედით გამკაცრდა, რაც მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებითა და ფინანსური რესურსის ხარჯის ზრდით იყო განპირობებული. საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში დაკრედიტების საპროცენტო პირობების მცირედით გამკაცრებას ელიან უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე.

საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, 2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნა მცირედით გაიზარდა. მომდევნო კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის მცირედი ზრდაა მოსალოდნელი. კვლევის მიხედვით, დაკრედიტების არასაპროცენტო და საპროცენტო პირობები ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის მცირედით გამკაცრდა. არასაპროცენტო პირობების გამკაცრება ეკონომიკური ტენდეციებისა და რეგულატორული ცვლილებებით არის განპირობებული, ხოლო საპროცენტო პირობების გამკაცრება, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდით. საბანკო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, მომდევნო კვარტალში დაკრედიტების არასაპროცენტო პირობების მცირედი გამკაცრებაა მოსალოდნელი უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის.

ბიზნესის დაკრედიტების პრობები და ტენდენციები

საკრედიტო პრობების კვლევის მიხედვით, 2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ბიზნეს სესხებზე მოთხოვნა მცირედით გაიზარდა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები 2022 წლის მესამე კვარტალში ბიზნეს სესხებზე მოთხოვნის მცირედით ზრდას კვლავ ელიან. ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წლის ივნისში, მარტთან შედარებით, კორპორატიული სესხების გაწლიურებული ზრდის ტემპი¹ 26%-მდე გაიზარდა, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნეს სესხების ზრდამ 16% შეადგინა. ჯამურად, ბიზნეს სესხების პორტფელის ზრდა 23% იყო. ვალუტების ჭრილში ბიზნეს სესხების ზრდა მნიშვნელოვანწილად კვლავ ეროვნული ვალუტით გაცემულმა სესხებმა განაპირობა, თუმცა უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ზრდის ტემპი გაზრდილია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიზნეს სესხების ზრდა სექტორულ ჭრილში დიდ წილად მრეწველობის და მშენებლობის სექტორების დაკრედიტებამ განაპირობა. საბანკო სექტორის წარმომადგენლთა აზრით, მეორე კვარტალში მცირედით გაიზარდა როგორც საბრუნავი, ისე ძირითადი საშუალებების დაფინანსების მიზნობრიობით გაცემული სესხები. საკრედიტო პრობების კვლევის მიხედვით, 2022 წლის მესამე კვარტალში ბიზნეს სესხებზე მოთხოვნის მცირედით ზრდაა მოსალოდნელი (იხ. დიაგრამა.1).

დიაგრამა 1. ბიზნეს სესხების მოთხოვნისა და საკრედიტო პრობების ცვლილება²




წყარო: საკრედიტო პრობების კვლევა, სეზ.

¹ აღნიშნული მონაცემი ასახავს გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სეზონურად შესწორებული სესხების გაწლიურებულ ზრდას.

² საკრედიტო პრობებისა და მოთხოვნის ცვლილების ინდექსი მერყეობს -100-დან 100-მდე. 100 აღნიშნავს, რომ რესპოდენტების 100% აღიქვამს ტენდენციის მნიშვნელოვან გამკაცრებას/ზრდას; -100 აღნიშნავს მნიშვნელოვან შერბილებას/შემცირებას; 0 აღნიშნავს, რომ ტენდენცია არ შეცვლილა გასულ კვარტალთან შედარებით. 2021 Q3* ასახავს საბანკო სექტორის წარმომადგენლების მოლოდინებს 2022 წლის მესამე კვარტალზე.

ამავე კვლევის მიხედვით, მეორე კვარტალში დაკრედიტების პირობები ბიზნეს სესხებისთვის მცირედით გამკაცრდა. მცირედით გამკაცრება ძირითადად მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებითა და ფინანსური რესურსის ხარჯის ზრდით იყო განპირობებული (იხ. დიაგრამა 2). ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ბიზნეს სესხების ნარჩენი ვადიანობა მცირედით გაიზარდა ეროვნული ვალუტით გაცემულის სესხებისთვის, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის მცირედით შემცირდა, რაც საკრედიტო პირობების მცირედით გამკაცრებაზე მიუთითებს (იხ. დიაგრამა 3). საბანკო სექტორის წარმომადგენლები არასაპროცენტო პირობების მნიშვნელოვან ცვლილებას მომდევნო კვარტალში არ ელიან.

დიაგრამა 2. ბიზნეს სესხების საკრედიტო პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები³




წყარო: საკრედიტო პირობების კვლევა

2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით გაცემული ბიზნეს სესხებისთვის მცირედით გაიზარდა. მცირედით გამკაცრება მნიშვნელოვანწილად საქართველოს ეროვნული ბანკისა და აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით იყო განპირობებული. კერძოდ, ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ივნისში, მარტთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთი თვის შიგნით ეროვნული ვალუტით გაცემულ მსხვილ ბიზნეს სესხებზე მცირედით გაიზარდა და 14.6% შეადგინა. რაც შეეხება უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებს, ივნისში, მარტთან შედარებით, ევროთი თვის შიგნით გაცემული კორპორატიული სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით, 6.7%-მდე, გაიზარდა, ხოლო დოლარით გაცემული სესხებისთვის მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 8.0% შეადგინა. მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებისთვის, საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებისთვის,

³ დიაგრამა საკრედიტო პირობების ცვლილებაში თითოეული ფაქტორის წილს ასახავს. დადებითი წილი მიუთითებს ფაქტორის წილს გამკაცრებაში, ხოლო უარყოფითი შერბილებაში.

მცირედით 14.2%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება უცხოური ვალუტით გაცემული სესხებს, ევროთი და დოლარით გაცემული სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი მცირედით გაიზარდა და 5.7% და 7.0% შეადგინა, შესაბამისად (იხ. დიაგრამა 3). საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, მცირედით გაიზარდა განაკვეთი ფიქსირებული განაკვეთით გაცემულ ეროვნული და უცხოური ვალუტის სესხებზე. გამოკითხულთა აზრით, მომდევნო კვარტალში საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის შესაძლოა მცირედით გაიზარდოს.

დიაგრამა 3. საპროცენტო განაკვეთები და ნარჩენი ვადიანობა ბიზნეს სესხებზე ⁴



წყარო: სეზ.


2022 წლის მეორე კვარტალში უმოქმედო სესხების წილი ბიზნეს სესხებში მცირედით შემცირდა. მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უმოქმედო სესხების წილმა ჯამურად ბიზნეს სესხებში, 5% შეადგინა. ვალუტების ჭრილში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმოქმედო სესხების წილი ეროვნული ვალუტით გაცემულ ბიზნეს სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 4% შეადგინა. აშშ დოლარით გაცემულ სესხებში უმოქმედო სესხების წილი 1.3 პპ-ით შემცირდა და 7.0% შეადგინა, ხოლო ევროთი გაცემულ ბიზნეს სესხებში უმოქმედო სესხების წილი მცირედით შემცირდა და 5% შეადგინა (იხ. დიაგრამა 4). საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში უმოქმედო სესხების წილის მცირედით შემცირებას კვლავ მოელოან. საგულისხმოა, რომ ამ დროისთვის, ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, კორპორატიული სესხების პორტფელის 8%, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის პორტფელის 1% სესხის მომსახურეობის საშეღავათო პერიოდით სარგებლობს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წლის მეორე

⁴ საპროცენტო განაკვეთი და ნარჩენი ვადიანობა თვეებში თვის შიგნით გაცემულ მცირე და საშუალო და მსხვილი ბიზნეს სესხების ნაკადებზე.

კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, რესტრუქტურისებული სესხების წილი ბიზნეს სესხებში 2.8 პპ-ით, 19.9%-მდე გაიზარდა.

2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი მსხვილ ბიზნეს სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებში მცირედით გაიზარდა. მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი მსხვილ ბიზნეს სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და საშუალოდ 1.0% შეადგინა. რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებს, მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი გაიზარდა ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებისთვის და საშუალოდ 18% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 5% იყო (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. ბიზნეს სესხებში უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი




წყარო: სეზ.

ფიზიკური პირების დაკრედიტების პირობები და ტენდენციები

საკრედიტო პირობების კვლევის მიხედვით, 2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნა მცირედით გაიზარდა. მომდევნო კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის მცირედით ზრდაა მოსლოდნელი. კერძოდ, ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ივნისში მართთან შედარებით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების გაწლიურებულმა ზრდის ტემპმა⁵ 18% შეადგინა (იხ. დიაგრამა 5). ვალუტების ჭრილში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ზრდა მნიშვნელოვანწილად ეროვნული ვალუტით გაცემულმა სესხებმა განაპირობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უცხოური ვალუტით დაკრედიტების გაწლიურებული ზრდის ტემპი 9%-მდე შემცირდა. საბანკო სექტორის წარმომადგენლები მომდევნო კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე მოთხოვნის მცირედით ზრდას კვლავ მოელიან.

დიაგრამა 5. ფიზიკური პირების სესხებზე მოთხოვნისა და საკრედიტო პირობების ცვლილება⁶



წყარო: საკრედიტო პირობების კვლევა, სეპ.


2022 წლის მეორე კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის დაკრედიტების არასაპროცენტო პირობები მცირედით გამკაცრდა. აღნიშნული გამკაცრება მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური ტენდენციებისა და რეგულატორული ცვლილებებით არის განპირობებული. კერძოდ, სესხის მომსახურების კოეფიციენტის 25%-იანი მოთხოვნა 1,500 ლარამდე შემოსავლის მქონე პირებზე გავრცელდა და ასევე, კომერციულმა ბანკებმა ცვლად განაკვეთიანი სესხის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების დროს 3 პროცენტული პუნქტი საპროცენტო განაკვეთის შოკი უნდა გაითვალისწინონ. 2022 წლის 1 მაისიდან პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები აღნიშნული შოკის

⁵ აღნიშნული მონაცემი ასახავს გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სეზონურად შესწორებული სესხების გაწლიურებული ზრდას.

⁶ იხ. დიაგრამა 1-ის მეორე შენიშვნა.


გათვალისწინებით გადათვლილმა სესხის მომსახურების კოეფიციენტმა უნდა დააკმაყოფილოს⁷. ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, სესხის ვადიანობა შემცირდა როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის. ამასთან, სესხის უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტი მცირედით შემცირდა, ხოლო სესხის მომსახურების (PTI) კოეფიციენტი მცირედით გაიზარდა. მთლიანობაში დაკრედიტების პირობები მცირედით გამკაცრებულია (იხ. დიაგრამა 7-8).

დიაგრამა 6. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების დაკრედიტების პირობების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები⁸



წყარო: საკრედიტო პირობების კვლევა

დიაგრამა 7. სესხის მომსახურებისა (PTI) და უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტების განაწილება




წყარო: სებ.

⁷ <https://nbg.gov.ge/fm>

⁸ იხ. დიაგრამა 2-ის შენიშვნა.

საპროცენტო განაკვეთები ფიზიკურ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის მცირედით გაიზარდა. კერძოდ, ივნისში, მარტთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთი აშშ დოლარით გაცემული იპოთეკური სესხებისთვის 0.7 პპ-ით, 6.2%-მდე, გაიზარდა, ხოლო ევროთი გაცემული სესხებისთვის 0.6 პპ-ით, 5.3%-მდე, გაიზარდა (იხ. დიაგრამა 8). საპროცენტო განაკვეთის ზრდა, FED-ის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის გამკაცრებით აიხსნება. რაც შეეხება ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებს, სამომხმარებლო და იპოთეკური სესხებისთვის საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 19% და 12% შეადგინა, შესაბამისად. გამოკითხულთა აზრით, მომდევნო კვარტალში ეროვნული ვალუტით გაცემული იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების საპროცენტო პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არაა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე მოსალოდნელია პროცენტის გაზრდა.

დიაგრამა 8. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი და ნარჩენი ვადიანობა⁹



წყარო: სებ.


2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უმოქმედო სესხების წილი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. კერძოდ, ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, უმოქმედო სესხების წილი იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 3% და 5% შეადგინა, შესაბამისად. ვალუტების კრილში, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა უმოქმედო სესხების წილი უცხოური ვალუტით გაცემულ იპოთეკურ სესხებში. კერძოდ, ევროთი გაცემულ იპოთეკურ სესხებში უმოქმედო სესხების წილმა 3%, ხოლო დოლარით გაცემულ იპოთეკურ სესხებში უმოქმედო სესხების წილმა 4% შეადგინა. რაც შეეხება ეროვნული ვალუტით გაცემულ იპოთეკურ სესხებს, უმოქმედო სესხების წილი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 2% შეადგინა (იხ. დიაგრამა 9). საბანკო

⁹ საპროცენტო განაკვეთი და ნარჩენი ვადიანობა თვეებში ფიზიკურ პირებზე თვის შიგნით გაცემულ სესხების ნაკადებზე.

სექტორის წარმომადგენლები მესამე კვარტალში უმოქმედო სესხების წილის მნიშვნელოვან ცვლილებას არ ელიან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, რესტრუქტურისებული სესხების წილი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში 0.9 პპ-ით, 6.1%-მდე, შემცირდა, რაც მნიშვნელოვანწილად პორტფელის ზრდისა და შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგია. აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 3.2 პპ-ით არის შემცირებული, რაც ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხების პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

2022 წლის მეორე კვარტალში უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი სამომხმარებლო სესხებში გაიზარდა. კერძოდ, მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი სამომხმარებლო სესხებში გაიზარდა და 43% შეადგინა. რაც შეეხება იპოთეკურ სესხებს, ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებში უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი 17%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ იპოთეკურ სესხებში უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი გაიზარდა და 21% შეადგინა (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9. უმოქმედო და უარყოფილი სასესხო განაცხადების წილი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებში



წყარო: სეზ

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

ანგარიში მომზადდა საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ანალიზის განყოფილების მიერ. ამ ანგარიშში წარმოდგენილი მოლოდინები ასახავს მხოლოდსაკრედიტო პირობების კვლევის რესპოდენტთა შეფასებას დაკრედიტების მომავალ ტენდენციაზე და არა ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა მოლოდინებს. ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკა დაკრედიტების მიმდინარე ტენდენციაზე განკუთვნილია მხოლოდ მიმდინარე ანალიტიკური მიზნებისთვის, რადგანაც აქ წარმოდგენილი ზოგიერთი მონაცემი შესაძლოა დაექვემდებაროს პერიოდულ გადახედვას და შესაბამისად, ისინი შეიძლება შეიცავდეს გაზომვის ცდომილებებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზომამიღებული მონაცემთა დროულად, კორექტულად და სრულყოფილად წარმოსადგენად, საქართველოს ეროვნული ბანკი არ იძლევა გარანტიას მონაცემთა სრულ სიზუსტეზე. მიმოხილვაში გამოქვეყნებული ზოგიერთი მონაცემი შესაძლოა განსხვავდებოდეს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე "სტატისტიკის" რუბრიკაში გამოქვეყნებული მონაცემებისგან, რადგანაც გაანგარიშებებში გამოყენებულია საზედამხედველო მონაცემები.

მონაცემები წარმოდგენილია 30/6/2022-ის მდგომარეობით.

დამატებითი კითხვებით შეგიძლიათ მიმართოთ ელენე ღვინიაშვილს

ელ-ფოსტა: Elene.Gviniashvili@nbg.gov.ge ტელ: (+995) 595 511512



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველო, თბილისი 0114, სანაპიროს 2

(995 32) 2 406 406

info@nbg.ge; www.NBG.ge